

**შპს „ანტრე-2008“**

**2022 წლის ფინანსური ანგარიშგება**

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

|                                                             | საანგარიშგებო თარიღი |                |                | შენიშვნა |
|-------------------------------------------------------------|----------------------|----------------|----------------|----------|
|                                                             | 31.12.2022           | 31.12.2021     | 31.12.2020     |          |
| <b>აქტივები</b>                                             |                      |                |                |          |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                       | 52628                | 82570          | 726441         | 3.1      |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                  | 137710               | 103192         | 105536         |          |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 1982428              | 2618232        | 2383572        | 3.2      |
| მ.შ. - გრძელვადიანი სესხები                                 | 1956438              | 1518845        | 2383572        |          |
| <b>მარაგები</b>                                             | <b>409321</b>        | <b>378471</b>  | <b>266306</b>  |          |
| მ.შ. - მზა პროდუქცია                                        |                      |                |                |          |
| - სხვა                                                      | 409321               | 378471         | 266306         |          |
| საინვესტიციო ქონება                                         |                      |                |                |          |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                  | 1132                 | 92             | 100655         |          |
| <b>ბიოლოგიური აქტივები</b>                                  |                      |                |                |          |
| მ.შ. - თვითღირებულების მოდელით                              |                      |                |                |          |
| - გადაფასების მოდელით                                       |                      |                |                |          |
| გუდვილი                                                     |                      |                |                |          |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                | 1381                 | 2902           | 3922           |          |
| ძირითადი საშუალებები                                        | 4507644              | 4626790        | 4956756        | 3.3      |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                           |                      |                |                |          |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში         |                      |                |                |          |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                  | 4022223              |                |                |          |
| <b>სულ აქტივები</b>                                         | <b>11114467</b>      | <b>7812249</b> | <b>8543188</b> |          |
| <b>ვალდებულებები</b>                                        |                      |                |                |          |
| საიჯარო ვალდებულება                                         | 35280                | 14284          |                | 3.4      |
| მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი      |                      |                |                |          |
| სავაჭრო ვალდებულებები                                       | 2811765              | 1851293        | 1997300        | 3.4      |
| ანარიცხები                                                  |                      |                |                |          |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                          | 770052               | 526327         |                |          |
| საგადასახადო ვალდებულებები                                  | 487900               | 458034         |                |          |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი                                  | 1548                 | 556            |                |          |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                             | 1761781              | 1510388        | 815795         | 3.5      |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                             | 1347254              | 2054405        | 4151190        | 3.5      |
| მიღებული გრანტები                                           |                      |                |                |          |
| მ.შ. - გრანტიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები       |                      |                |                |          |
| სხვა ვალდებულებები                                          |                      |                |                |          |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                    | <b>7215580</b>       | <b>6415287</b> | <b>6964285</b> |          |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                    |                      |                |                |          |
| კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)                | 200                  | 200            | 200            |          |
| საემისიო შემოსავალი                                         |                      |                |                |          |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                |                      |                |                |          |
| გაუნაწილებელი მოგება / დაგროვილი ზარალი                     | 3898687              | 1396762        | 1578703        |          |
| გადაფასების რეზერვი                                         |                      |                |                |          |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                        |                      |                |                |          |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                                | <b>3898887</b>       | <b>1396962</b> | <b>1578903</b> |          |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>               | <b>11114467</b>      | <b>7812249</b> | <b>8543188</b> |          |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                   | 626781               | 627212         | 1198938        |          |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                              | 5868326              | 4360882        | 2813095        |          |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.

დირექტორი:

თამილა მაისურაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ანტრე-2008"

## საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

|                                                                    | საანგარიშგებო პერიოდი |                  | შენიშვნა |
|--------------------------------------------------------------------|-----------------------|------------------|----------|
|                                                                    | 2022                  | 2021             |          |
| <b>ნეტო ამონაგები</b>                                              | <b>25584118</b>       | <b>19620334</b>  | 3.6      |
| მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან                                         | 25502688              | 19562958         |          |
| - მომსახურების გაწევიდან                                           | 81430                 | 57376            |          |
| - სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                     |                       |                  |          |
| - სხვა ამონაგები                                                   |                       |                  |          |
| <b>გაყიდვების თვითღირებულება</b>                                   | <b>-10709671</b>      | <b>-7931916</b>  |          |
| <b>საერთო მოგება</b>                                               | <b>14874447</b>       | <b>11688418</b>  |          |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                         |                       |                  |          |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                           | -6157333              | -6160115         |          |
| ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი                                           | -1019111              | -1060947         |          |
| საპროცენტო შემოსავალი                                              | 445593                | 217368           |          |
| საპროცენტო ხარჯი                                                   | -347562               | -363689          | 3.7      |
| იჯარის ხარჯი                                                       | -1667670              | -1581790         |          |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                           | -3905268              | -3269185         | 3.8      |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                                      | <b>-12651351</b>      | <b>-12218358</b> |          |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                           | <b>2223096</b>        | <b>-529940</b>   |          |
| <b>გაუფასურების ხარჯი/ადდგენა</b>                                  |                       |                  |          |
| მ.შ. - ფინანსური აქტივების                                         |                       |                  |          |
| - მარაგების                                                        |                       |                  |          |
| - სხვა არაფინანსური აქტივების                                      |                       |                  |          |
| წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.      | 240132                | 146894           |          |
| მიღებული დივიდენდები                                               |                       |                  |          |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი                                | 39366                 | 201104           | 3.9      |
| <b>მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან</b> | <b>2502594</b>        | <b>-181942</b>   |          |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                          |                       |                  |          |
| <b>საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი</b>                        | <b>2502594</b>        | <b>-181942</b>   | 3.10     |
| სხვა სრული შემოსავალი/ზარალი                                       |                       |                  |          |
| ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი   |                       |                  |          |
| სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)      |                       |                  |          |
| სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:                                 |                       |                  |          |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი</b>                             | <b>2502594</b>        | <b>-181942</b>   |          |
| <b>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში</b>         | <b>1396962</b>        | <b>1578903</b>   |          |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)       |                       |                  |          |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                     |                       |                  |          |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                              | -669                  | 1                |          |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                          |                       |                  |          |
| <b>კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>                       | <b>3898887</b>        | <b>1396962</b>   |          |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.

დირექტორი:

თამილა მაისურაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "ანტრე-2008"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

|                                                             | საანგარიშგებო პერიოდი |          |
|-------------------------------------------------------------|-----------------------|----------|
|                                                             | 2022                  | 2021     |
| ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან               | 4396497               | 1663776  |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები | -3877190              | -726044  |
| ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან                | -549189               | -1581852 |
| ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში     | -29882                | -644120  |
| სავალუტო კურსის ეფექტი                                      | -60                   | 249      |
| ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში                         | 82570                 | 726441   |
| ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს                              | 52628                 | 82570    |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2023 წ.

დირექტორი:



თამილა მაისურაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

## 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების

### განმარტებითი შენიშვნები

#### 1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ანტრე 2008“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია 2008 წლის 4 მარტს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია – 204549792, იურიდიული მისამართი – საქართველო, თბილისი, ჯანაშია ქ. N 28, ბ. 7.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად,

1.2. კომპანიის ერთადერთი 100% მფლობელია თამილა მაისურაძე (პ/ნ 01008000666). ის წარმოადგენს ასევე კომპანიის დირექტორს.

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცალო ვაჭრობა პურით, ნამცხვრებით, ფქვილოვანი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 17 ადგილიდან (თბილისში) –ოფისი და კაფე-რესტორნები.

1.4. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. კომპანიას დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2022 წელს შეადგენდა 290 კაცს. ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

#### 2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

#### **შემოსავლების აღიარება**

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.



### **საექვო მოთხოვნების აღიარება**

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

### **ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების



საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

#### **გარიგებები უცხოურ ვალუტაში**

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

#### **დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები**

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

#### **მარაგები**

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში – საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.



### **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

### **გრძელვადიანი აქტივები**

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები – 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები – 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა – 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა – 5 წელი;

სარეკლამო საშუალებები – 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები – 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები – 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა ვებგვერდისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთებით – 10-15%; ვებგვერდის ამორტიზაციისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 25%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

## **2.6. გადასახადები**

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომელთათვის ეს დებულება ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან (სადაზღვევო კომპანიებისათვის – 2024 წლის 1 იანვრიდან).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

## **2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე**

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

## **2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები**



სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2022 წელს: 1 USD=2.9137 ლარი; 1 EUR=3.0812 ლარი.

2021 წელს: 1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.

### 3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

#### 3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

|                                       | ნაშთი<br>31.12.2022<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2021<br>მდგომარეობით |
|---------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| ნაღდი ფული სალაროში                   | 44603                               | 37070                               |
| ლარი საბანკო ანგარიშებზე (საქართველო) | 8011                                | 45492                               |
| ევრო საბანკო ანგარიშებზე (საქართველო) | 14                                  | 8                                   |
| <b>სულ:</b>                           | <b>52628</b>                        | <b>82570</b>                        |

#### 3.2. ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები:

|                                         | ნაშთი<br>31.12.2022<br>მდგომარეობით | ნაშთი<br>31.12.2021<br>მდგომარეობით |
|-----------------------------------------|-------------------------------------|-------------------------------------|
| წინასწარ ანაზღაურებული საიჯარო ქირა     | 5038                                | 11217                               |
| გადახდილი ავანსები მიმწოდებლებზე        | 20952                               | 51670                               |
| გაცემული გრძელვადიანი სესხი და პროცენტი | 1956438                             | 2555345                             |
| <b>სულ:</b>                             | <b>1982428</b>                      | <b>2618232</b>                      |

აღნიშნული გრძელვადიანი სესხი გაცემულია რეზიდენტ ფიზიკურ პირზე, წლიური საპროცენტო განაკვეთით 20%. სესხის და მასზე დარიცხული პროცენტის საბოლოო დაფარვის ვადად განსაზღვრულია 31.12.2026 წ. 2022 წელს მოხდა სესხის ხელახალი სააღრიცხვო შეფასება (დისკონტირება) ბოლო ხელმისაწვდომი ინფორმაციის გათვალისწინებით და ცვლილება აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში.

### 3.3. ძირითადი საშუალებები:

| ძირითადი საშუალების დასახელება                      | თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2021 | დაგროვილი ცვეთა 31.12.2021 | ნარჩენი საბალანსო ღირ-ბა 31.12.2021 | თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 31.12.2022 | დაგროვილი ცვეთა 31.12.2022 | ნარჩენი საბალანსო ღირ-ბა 31.12.2022 |
|-----------------------------------------------------|----------------------------------------------|----------------------------|-------------------------------------|----------------------------------------------|----------------------------|-------------------------------------|
| მიწის ნაკვეთები                                     | 302166.00                                    |                            | 302166.00                           | 302166.00                                    |                            | 302166.00                           |
| შენობა-ნაგებობები                                   | 2045226.96                                   | 376964.29                  | 1668262.67                          | 2129901.61                                   | 460259.85                  | 1669641.76                          |
| მანქანა-დანადგარები                                 | 2576415.88                                   | 1912637.86                 | 663778.02                           | 2854607.32                                   | 2085091.43                 | 769515.89                           |
| კომპიუტ. ტექნიკა და სხვა საოფისე აღჭურვილობა        | 744047.62                                    | 563064.05                  | 180983.57                           | 771985.92                                    | 632305.50                  | 139680.42                           |
| ავტო                                                | 1110843.53                                   | 746322.29                  | 364521.24                           | 1122052.84                                   | 802653.97                  | 319398.87                           |
| ავტოტრანსპორტი                                      | 209650.86                                    | 63587.77                   | 146063.09                           | 209650.86                                    | 83281.67                   | 126369.19                           |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა                 | 2911052.05                                   | 1827033.02                 | 1084019.03                          | 3139994.63                                   | 2216317.08                 | 923677.55                           |
| მცირეფასიანი ინვენტარი და სხვა ძირითადი საშუალებები | 2217071.72                                   | 2000075.52                 | 216996.20                           | 2485101.90                                   | 2227907.44                 | 257194.46                           |
| <b>სულ:</b>                                         | <b>12116475</b>                              | <b>7489685</b>             | <b>4626790</b>                      | <b>13015461</b>                              | <b>8507817</b>             | <b>4507644</b>                      |

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა საანგარიშო წლის ბოლოს შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს – 8507817 ლარი;

2021 წლის ბოლოს – 7489685 ლარი.

2017 წლის თებერვლიდან, კრედიტორის – სს „თიბისი ბანკი“-ს წინაშე არსებული სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, დაგირავებულია არსებული ძირითადი საშუალებები და სამომავლოდ შესაძენი მოძრავი ქონება.

### 3.4. საიჯარო და სავაჭრო ვალდებულებები:

კომპანია ეკონომიკურ საქმიანობაში იყენებს უძრავი ქონების 17 ობიექტს (1 საოფისე, 16 – კაფე-რესტორნებისთვის), რომლებიდანაც უმეტესობა იჯარით აქვს აღებული. იმის გამო, რომ საიჯარო ქირის გადახდა მეიჯარეებისათვის, როგორც წესი, ხდება თვის დასრულებამდე, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით გადასახდელი საიჯარო ქირის ვალდებულება, როგორც წესი, მცირეა და შეადგენს:

2022 წლის ბოლოს - 35280 ლარი.

2021 წლის ბოლოს - 14284 ლარი.

31.12.2022 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა სავაჭრო კრედიტორული დავალიანება (გარდა საიჯარო ვალდებულებებისა) სხვადასხვა მიმწოდებლების წინაშე 2811765 ლარის ოდენობით, რომლიდანაც მხოლოდ 2279 ლარი არის დავალიანება არარეზიდენტების მიმართ, ხოლო დანარჩენი – რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ.



### **3.5. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები**

კომპანიას გახსნილი აქვს საკრედიტო ხაზი სს „თიბისი ბანკში“ და სარგებლობს მისგან აღებული გრძელვადიანი სესხებით. 2022 წლის ბოლოსათვის, მოქმედი იყო 10 სასესხო ხელშეკრულება, მათგან 7 – ლარში და 3 – აშშ დოლარში. 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, ეს სესხები დისკონტირებულია ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის მიხედვით და მიღებული თანხიდან გამოყოფილია საანგარიშო წლის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში გადასახდელი თანხები:

გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი – 184390 აშშ დოლარი და 1263560 ლარი, სულ – **1761781** ლარი;

გრძელვადიანი ნაწილი – 354423.85 აშშ დოლარი და 389600 ლარი, სულ – **1347254** ლარი.

### **3.6. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება**

2022 წელს, კომპანიის ნეტო-ამონაგებმა (დღგ-ის გარეშე) შეადგინა 25584118 ლარი, რაც შედგებოდა:

კაფე-რესტორნებით გაწეული საზოგადოების მომსახურების ფარგლებში პროდუქციის რეალიზაცია – 25502688 ლარი;

მარკეტინგული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები – 81430 ლარი.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით და 2022 წელს შეადგინა 10709671 ლარი.

კომპანია ატარებს ისეთ მარკეტინგულ პოლიტიკას, რომ ყოველი დღის ბოლოს დარჩენილი კვების პროდუქტების ნაშთი უმნიშვნელოა.

### **3.7. საპროცენტო ხარჯები:**

2022 წელს საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 347562 ლარი, რაც მთლიანად შედგება სს „თიბისი ბანკის“ სესხებზე დარიცხული პროცენტებისაგან. ისევე, როგორც წინა წელს, საპროცენტო ხარჯში გათვალისწინებულია გადასახდელი სესხების ამორტიზაცია (დისკონტირების შედეგი) ეფექტური სასესხო საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

### **3.8. სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები:**

|                                         | 2022 წელი | 2021 წელი |
|-----------------------------------------|-----------|-----------|
| სამეურნეო საქონლის და მასალების ხარჯები | 1715344   | 1476771   |
| უსასყიდლოდ გაცემულ პროდუქციის ხარჯი     | 30941     | 153197    |
| რეკლამის ხარჯები                        | 3972      | 3000      |
| საავტორო უფლებების ხარჯები              | 6007      | 5506      |
| ელექტროენერგიის ხარჯი                   | 460667    | 452040    |
| გაზი, წყალი, დასუფთავება                | 153262    | 122159    |
| დაცვის ხარჯები                          | 61863     | 62303     |
| კომუნიკაციის ხარჯები                    | 40080     | 37379     |
| საკონსულტაციო ხარჯები                   | 113524    | 98270     |
| საბანკო ხარჯები                         | 375303    | 258455    |
| სარემონტო და საექსპლუატაციო ხარჯები     | 130522    | 113200    |
| საქველმოქმედო ხარჯები                   | 227236    | 44799     |
| სხვა ხარჯები                            | 586547    | 442106    |
| სულ:                                    | 3905268   | 3269185   |

### 3.9. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი:

|                                                     | 2022 წელი | 2021 წელი |
|-----------------------------------------------------|-----------|-----------|
| სხვა ფინანსური შემოსავლები                          | 0         | 41485     |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები                      | 52268     | 14741     |
| ვალუტის ჩამოწერით მიღებული შემოსავალი               | 228       | 42435     |
| ნაჩუქარი ქონება და სხვა სარგებელი                   | 1450      | 4247      |
| პანდემიასთან დაკავშირებული არასაოპერაციო შემოსავალი | 0         | 105686    |
| ჯარიმები და საურავები                               | -13030    | -7444     |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები                          | -1550     | -46       |
| სულ:                                                | 39366     | 201104    |

### 3.10. საანგარიშო წლის მოგება/ზარალი:

2022 წელს კომპანიის მოგებამ შეადგინა 2502594 ლარი, რამაც გაზარდა წინა წლების გაუნაწილებელი მოგება. 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით, გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენს 3898687 ლარს. მოგების გადასახადის ხარჯი კომპანიას არ ჰქონია, რადგან 2022 წელს კომპანიას არ გაუნაწილებია დივიდენდები.

### 3.11. სასამართლო დავები:

კომპანიას 2022 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

### 3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანია აგრძელებდა განვითარებას და ინვესტირებას. მის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა მნიშვნელოვანი საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.



### **3.13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად  
ნებადართულია 2023 წლის 30 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის  
ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.